სისხლის სამართლის სტატისტიკის

ერთიანი ანგარიში

საანგარიშო პერიოდი - 2013 წლის ოქტომბერი

შინაარსი

თავი II.	**პროკურატურის სტატისტიკა**	3
ნაწილი 4	- სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით	3
4.1	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი	3
4.2	სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	9
4.3	სასამართლოში წარმართვა	12
ნაწილი 5	-სტატისტიკური ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების მიხედვით	13
5.1	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება	13
5.2	სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა	14
5.3	სასამართლოში წარმართვა	14
ნაწილი 6	-არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები და მათ მიმართ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები	15
6.1	არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები	15
6.2	სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ	16
6.3	სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ	17
6.4	არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა	17
თავი III.	**სასამართლო სტატისტიკა**	18
ნაწილი 7	-სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები	18
7.1	აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები	18
ნაწილი 8	-პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები	20
8.1	პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა	20
8.2	არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები	21
8.3	საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები	21
ნაწილი 9	-მსჯავრდებულები	22
9.1	მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით	22
9.2	მსჯავრდებულთა შემადგენლობა	23
9.3	არასრულწლოვანი მსჯავრდებულები	26

ნაწილი 10 -დანაშაული და შეფარდებული სასჯელები 28

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით 28

10.2 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით 32

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა 35

ნაწილი 11 -საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი 35

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში 35

11.2 ბრალდებულები 36

11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები 37

11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით 39

11.5 მსჯავრდებულთა რაოდენობა დაწესებულების ტიპის მიხედვით 39

11.6 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით..... 40

11.7 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები 41

11.8 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა 42

11.9 რესოციალიზაცია 45

11.10 დისციპლინური ღონისძიებები 48

11.11 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა 48

11.12 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში.... 49

11.13 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში 52

ნაწილი 12 -საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო 61

12.1 პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა 61

12.2 პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის მატება 69

12.3 დასრულებული საქმეები 71

12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში 73

12.5 პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია 74

12.6 პირობით მსჯავრდებულთა ამნისტია 77

თავი II. პროკურატურის სტატისტიკა[1]

ნაწილი IV - სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები სსკ-ის მუხლების მიხედვით

4.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი

2013 წლის ოქტომბერში საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიებზე დანაშაულთა ფაქტების რაოდენობის მიხედვით შემდეგნაირია: განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 475 შემთხვევაში, მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 325, ხოლო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 1436 შემთხვევაში.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით (2013 წლის ოქტომბერი)



საანგარიშო პერიოდში დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფებიდან ყველაზე მაღალი იყო ნარკოტიკულ დანაშაულებზე (1244) (იხ, დანართი ცხრილი #5).

[1] ანგარიშის ეს ნაწილი მომზადებულია მთავარი პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის სტატისტიკის, ანალიზისა და ინოვაციური პროექტების სამმართველოს მიერ

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2013 წლის ოქტომბერი)

2013 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირია:

სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან მკვლელეობის მცდელობის დანაშაულზე დევნა დაიწყო 15 შემთხვევაში, დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის დანაშაულზე - 3 შემთხვევაში, ხოლო განზრახ მკვლელობის დანაშაულზე - 2 შემთხვევაში:

დევნის დაწყების მაჩვენებელი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაზე დევნა დაიწყო 13 შემთხვევაში, ხოლო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე - 17 შემთხვევაში:

დევნის დაწყების მაჩვენებელი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან გაუპატიურების დანაშაულზე დევნა დაიწყო 1 შემთხვევაში.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან თავისუფლების უკანონო აღკვეთის დანაშაულზე დევნა დაიწყო 3 შემთხვევაში. ხოლო მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულზე - 1 შემთხვევაში.

დევნის დაწყების მაჩვენებელი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ქურდობის (341) დანაშაულზე:

დევნის დაწყების მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებლები შემდეგნაირია: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღების დანაშაულზე დევნა დაიწყო 60 ფაქტზე, 21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების

მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების დანაშაულზე - 55, ხოლო ხულიგნობის დანაშაულზე დევნა დაიწყო 7 შემთხვევაში.



ნარკოტიკული დანაშაულებიდან დევნის დაწყების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო ისეთ დანაშაულზე, როგორიცაა: პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (794).

დევნის დაწყების მაჩვენებელი ნარკოტიკულ დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



სატრანსპორტო დანაშაულებიდან ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების, ან ექსპლუა-ტაციის წესის დარღვევის დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 82 შემთხვევაში.

სამოხელეო დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებელი მიმდინარე წლის ოქტომბერში ამგვარია:

დევნის დაწყების მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ან ბლანკის დამზადება, გასაღება, ან გამოყენების დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 24 შემთხვევაში.

4.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

საანგარიშო პერიოდში დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი შემდეგნაირია: სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მძიმე კატეგორიის დანაშაულის - 5 ფაქტზე, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის - 32 ფაქტსა და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის - 1 ფაქტზე:

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით (2013 წლის ოქტომბერი)



დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო **საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე** (10 ფაქტი). (იხ. დანართი ცხრილი #5).

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ჯგუფების მიხედვით
(2013 წლის ოქტომბერი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები სსკ-ით გათვალისწინებულ დანაშაულთა სხვა ჯგუფებში არ დაფიქსირებულა.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დანაშაულთა ცალკეული სახეობების მიხედვით შემდეგნაირია:

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების 1 დანაშაულზე.

საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები ასე გადანაწილდა:

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა 21 წლის ასაკს მიუღწეველი, ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარების 6 დანაშაულსა და ხულიგნობის - 1 დანაშაულზე:

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



ნარკოტიკული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარების 2 დანაშაულზე.

სატრანსპორტო დანაშაულებიდან დევნა შეწყდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის 1 დანაშაულზე.

სამოხელეო დანაშაულებიდან დევნა შეწყდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების 2 დანაშაულსა და სამსახურებრივი გულგრილობის 1 დანაშაულზე.

დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი სამოხელეო დანაშაულებზე
(2013 წლის ოქტომბერი)



მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებიდან დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენების 1 დანაშაულზე.

4.3 სასამართლოში წარმართვა[2]

[2] სტატისტიკურ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გამო, ინფორმაცია სასამართლოში წარმართულ საქმეებზე ამ ეტაპზე არ მოგვეპოვება.

5.1 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება

2013 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1961 პირის მიმართ. აქედან 29,8%-მა (584 პირი) დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის გასვლამდე (იხ. დანართი ცხრილი №6).

2013 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები რეგიონებისა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მიხედვით ამგვარია:



2013 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში (831 პირი)*** და შეადგინა სულ დევნის დაწყების 42,4%, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი აღინიშნა ***სამცხე-ჯავახეთში (67 პირი)*** და შეადგინა სულ დაწყებული დევნის 3,4% (იხ. დანართი ცხრილი №7;8) .

5.2 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

2013 წლის ოქტომბრის თვეში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 42 პირის მიმართ. (იხ. დანართი ცხრილი №6).

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში (11 პირი)*** და შეადგინა სულ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის 26,2%. (იხ. დანართი ცხრილი №7;8).



5.3 სასამართლოში წარმართვა[3]

[3] სტატისტიკურ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გამო, ინფორმაცია სასამართლოში წარმართულ საქმეებზე ამ ეტაპზე არ მოგვეპოვება.

6.1 არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები

2013 წლის სექტემბერში დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი ფიგურირებდა 79 შემთხვევაში, აქედან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე მოდის - 43% (34 დანაშაულის ფაქტი), მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 51% (40 დანაშაულის ფაქტი), ხოლო განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე - 6% (5 დანაშაულის ფაქტი):

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები კატეგორიების მიხედვით (2013 წლის ოქტომბერი)



საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან ყველაზე ხშირი იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (61 დანაშაული) (იხ. დანართი ცხრილი #5).

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული ჯგუფების მიხედვით (2013 წლის ოქტომბერი)



6.2 სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არასრულწლოვანთა მიმართ

2013 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 55 არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო იმ არასრულწლოვანთა პროცენტულმა მაჩვენებელმა, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს გამოსაცდელი ვადის გასვლამდე შეადგინა 14,5% (8 პირი) (იხ. დანართი ცხრილი №6).

2013 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა ***თბილისში*** (25 პირი) და შეადგინა 45,5% სულ დევნის დაწყებაში (იხ. დანართი ცხრილი №7;8).



2013 წლის ოქტომბრის თვეში მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების მიერ არასრულ-წლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი არ დაფიქსირე-ბულა.

6.3 სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა არასრულწლოვანთა მიმართ

2013 წლის ოქტომბერში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 3 არასრულწლოვნის მიმართ (იხ. დანართი ცხრილი №6;7;8).

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში (1 პირი), დასავლეთ საქართველოსა (1 პირი) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (1 პირი) რეგიონებში.

6.4 არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სასამართლოში წარმართვა[4]

[4] სტატისტიკურ პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების გამო, ინფორმაცია სასამართლოში წარმართულ საქმეებზე ამ ეტაპზე არ მოგვეპოვება.

თავი III. სასამართლო სტატისტიკა

ნაწილი 7 - სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები

7.1 აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შედეგები

2013 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულია საგამოძიებო ორგანოებიდან აღკვეთის ღონისძიებების შეფარდებაზე შემოსული 1806 შუამდგომლობა. განხილული შუამდგომლობებიდან დაპატიმრების ხვედრითი წილი შეადგენს 26,2%-ს, გირაოს ხვედრითი წილი - 62,5%-ს, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ხვედრითი წილი - 2,6%-ს (იხ. დანართი ცხრილი №9).

განხილული შუამდგომლობები



სულ განხილული შუამდგომლობიდან სასამართლოს მიერ *დაკმაყოფილებულ იქნა* 986 შუამდგომლობა, ანუ 54,6%. მათ შორის: დაპატიმრების შეფარდებაზე განხილული შუამდგომლობები-
დან სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ იქნა 57,8%, გირაოს შეფარდებაზე დაკმაყოფილებულ იქნა 51,5%.

დატოვებულია განუხილველად საპროცესო შეთანხმების დამტკიცების გამო საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული 612 შუამდგომლობა, ანუ 33,9%.

საგამოძიებო ორგანოებიდან შემოსული შუამდგომლობებიდან *უარი ეთქვა* მოცემული შუამდგომლობის შეფარდებაზე და შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება 208 შუამდგომლობას, ანუ 11,5%-ს;

შუამდგომლობების განხილვის შედეგები



2013 წლის ოქტომბერში სულ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებებიდან დაპატიმრებაზე მოდის 23,5% (274), გირაოზე - 66,0% (769), გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებაზე - 9,4% (110).

შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებები



2013 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ სულ შეფარდებული 1166 აღკვეთის ღონისძიებიდან საპატიმრო იყო 274, ანუ 23,5%, ხოლო არასაპატიმრო - 892, ანუ 76,5%. არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებში შეფარდებული გირაოს ხვედრითმა წილმა შეადგინა 86, 2%.

ნაწილი 8 - პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული სისხლის სამართლის საქმეები

8.1 პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა

2013 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულია 1729 საქმე 1893 პირის მიმართ, აქედან განაჩენის გამოტანით განხილულია 1706 საქმე, ანუ 98,7%, შეწყდა 5 საქმე (0,3%), დაუბრუნდა პროკურატურას 18 საქმე, ანუ 1,0% (იხ. დანართი ცხრილი # 10).

2013 წლის ოქტომბერში განაჩენის გამოტანით განხილული საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით განხილული იყო 1523 საქმე (სულ განხილული საქმეების 89,3%) 1651 პირის მიმართ (სულ განხილული პირების 89,0%), არსებითი განხილვით დამთავრდა 183 საქმე (შესაბამისად 10,7%) 205 პირის მიმართ (11,0%).

პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითად და საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეების ხვედრითი წილი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში



8.2 არსებითი განხილვით დამთავრებული საქმეები

2013 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში არსებითი განხილვით დამთავრებული 183 საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 171 საქმეზე, გამამართლებელი განაჩენი-5 საქმეზე (იხ. დანართი ცხრილი # 11).

2013 წლის ოქტომბერში სულ არსებითი განხილვით მსჯავრდებული, გამართლებული და შეწყვეტილი 188 პირიდან გამართლებულ პირთა ხვედრითი წილი შეადგენს 5,7%-ს, ხოლო იმ პირების ხვედრითი წილი, რომელთა მიმართ საქმე შეწყდა, შეადგენს 3,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი # 12).

8.3 საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები

2013 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ საპროცესო შეთანხმებით შემოსული იყო 909 სისხლის სამართლის საქმე 963 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით განაჩენი გამოტანილ იქნა 1523 საქმეზე 1651 პირის მიმართ. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილ განაჩენებში საბრალდებო დასკვნით შემოსული საქმეების ხვედრითი წილი შეადგენს 39,9% (იხ. დანართი ცხრილი # 13).

ნაწილი 9 - მსჯავრდებულები

9.1 მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით

2013 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1843 პირიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 571 პირს, ანუ 31,0%-ს;

- პირობითი მსჯავრი შეეფარდა 1011 პირს, ანუ 54,9%-ს;

- ჯარიმა შეეფარდა 231 პირს, ანუ 12,5%-ს;

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 25 პირის, ანუ 1,4%.

მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელის ფორმების მიხედვით



9.2 მსჯავრდებულთა შემადგენლობა

2013 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 1843 პირიდან მამაკაცი შეადგენდა 97,6%-ს, ხოლო ქალი 2,4%-ს.

ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენდა 0,7%-ს, ნარკოტიკულ სიმთვრალეში კი 4,2%-ს; ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 1,8%-ს. სოფლად ჩადენილი დანაშაული შეადგენს 14,1%-ს. სულ მსჯავრდებული პირებიდან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე იყო 2,6% (იხ. დანართი ცხრილი # 14).

ასაკის მიხედვით მსჯავრდებულები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 14-17 წლის ასაკის მსჯავრდებულია 39 პირი, რაც შეადგენს 2,1%-ს;

-18-24 წლის ასაკის - 294 პირი, ანუ 16,0%;

- 25-29 წლის ასაკის - 332 პირი, ანუ 18,0%;

- 30-49 წლის ასაკის - 993 პირი, ანუ 53,9%;

- 50 წლის ზევით ასაკის - 185 პირი, ანუ 10,0 %.

მსჯავრდებულთა განაწილება ასაკის მიხედვით



მსჯავრდებულთა შორის არასრული საშუალო განათლების მქონეა 77 პირი, ანუ 4,2%, საშუალო განათლების მქონეა 1472 პირი, ანუ 79,9%, უმაღლესი განათლების მქონეა 289 პირი, ანუ 15,7%, განათლების გარეშე 5 პირი, ანუ 0,3%.

მსჯავრდებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით



1843 მსჯავრდებული პირიდან:

- უმუშევარია 1673, ანუ 90,8%;

- კომერციული ან სხვა ორგანიზაციის მოსამსახურეა 49, ანუ 2,7%;

- სხვა მომუშავეა 65, ანუ 3,5%;

- კერძო მეწარმეა 14, ანუ 0,8%;

- მოსწავლე ან სტუდენტია 17, ანუ 0,9%;

- საჯარო მოსამსახურეა 14, ანუ 0,8% და სხვა.

მსჯავრდებულთა გადანაწილება საქმიანობის მიხედვით

(პროცენტობით)



მოუხსნელი და გაუქარწყლებელი ნასამართლობის მქონეა მსჯავრდებულთა 5,2%.

9.3 არასრულწლოვანი მსჯავრდებულები

2013 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული იყო 39 არასრულწლოვანი, რაც შეადგენს ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში სულ მსჯავრდებული პირების 2,1%-ს.

არასრულწლოვანი მსჯავრდებულებიდან ვაჟი იყო 39, ანუ 100,0%. არ მუშაობდა და არ სწავლობდა 29 არასრულწლოვანი, ანუ სულ მსჯავრდებული არასრულწლოვნების 74,4%, ჯგუფურად დანაშაული ჩადენილი აქვს 4 პირს, ანუ 10,3%-ს (იხ. დანართი ცხრილი # 15).

2013 წლის ოქტომბერში სულ მსჯავრდებული 39 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 13 პირს, ანუ 33,3%-ს, პირობითი მსჯავრი 25 პირს, ანუ 64,1%-ს, ჯარიმა 1 პირს, ანუ 2,6%-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა განაწილება სასჯელების მიხედვით



მსჯავრდებული 39 არასრულწლოვანი პირი დანაშაულის სახეების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

- ქურდობისათვის მსჯავრი დაედო 19 პირს, ანუ 48,7%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 3 პირს, ანუ 15,8%;

- ნარკოტიკული დანაშაულისათვის 6 პირს, ანუ 15,4%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 16,7%;

- ყაჩაღობისათვის 5 პირს, ანუ 12,8%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5 პირს, ანუ 100,0%;

- ძარცვისათვის 3 პირს, ანუ 7,7%-ს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 1 პირს, ანუ 33,3%-ს და სხვა (იხ. დანართი ცხრილები №16,17).

რეგიონების მიხედვით არასრულწლოვანი მსჯავრდებულები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ იქნა 18 არასრულწლოვანი, ანუ 46,2%;

- იმერეთისა და აჭარის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 4-4 არასრულწლოვანი, ანუ 10,3%;

- კახეთის, სამეგრელოსა და შიდა ქართლის სასამართლოების მიერ მსჯავრდებულ იქნა 3-3 არასრულწლოვანი, ანუ 7,7% და სხვა (იხ. დანართი ცხრილი # 18).

10.1 დანაშაულისა და შეფარდებული სასჯელების რაოდენობა დანაშაულთა სახეების მიხედვით

2013 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენის გამოტანით განხილულ იქნა 1706 საქმე 1856 პირის მიმართ. მსჯავრდებული 1843 (12 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, 1 პირის მიმართ გამოტანილია განაჩენი სასჯელის დაუნიშნავად) პირის მიერ ჩადენილი იყო 2226 დანაშაული, ხოლო დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნულ იქნა 2315 სასჯელი (იხ. დანართი ცხრილი #19).

2013 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული შეადგენს 21,7%-ს, მძიმე დანაშაული - 15,8%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაული - 61,5%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული 2315 სასჯელიდან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული-სათვის შეფარდებული სასჯელი შეადგენს 21,9%-ს, მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 16,8%-ს, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებული სასჯელი - 61,3%-ს.

მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშულებისა და ჩადენილი დანაშაულებისათვის

დანიშნული სასჯელების სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 53,0%-ს, პირობითი მსჯავრის - 44,3%-ს, ჯარიმის - 2,8%-ს.

მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 67,1%-ს, პირობითი მსჯავრის - 27,8%-ს, ჯარიმის - 4,1%-ს.

ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 25,2%-ს, პირობითი მსჯავრის - 54,7%-ს, ჯარიმის - 17,6%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის - 1,9%-ს.

ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



2013 წლის ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილია 190 ძალადობრივი დანაშაული, რაც სულ ჩადენილ დანაშაულში შეადგენს 8,5%-ს, აღნიშნული დანაშაულებისათვის დანიშნულია 210 სასჯელი, ანუ 9,1%. პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ძალადობრივი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელებში თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი შეადგენს 53,8%-ს, პირობითი მსჯავრის 19,0%-ს, ჯარიმის - 18,6%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 8,6%-ს.

ძალადობრივი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელები



ოქტომბერში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან კორუფციული დანაშაულის ხვედრითი წილი შეადგენს 0,7%-ს, დანიშნული სასჯელების ხვედრითი წილი - 0,7%-ს (იხ. დანართი ცხრილი # 20).

საანგარიშო პერიოდში მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი მოდის: ნარკოტიკულ დანაშაულზე - 53,6% (1193), შემდეგ მოდის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 23,2% (517), საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ დანაშაულზე - 6,4% (142), სატრანსპორტო დანაშაულზე - 3,7% (83), ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე - 4,6% (103) და სხვა.

მსჯავრდებული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების სტრუქტურა



2013 წლის ოქტომბერში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული 2315 სასჯელიდან:

- თავისუფლების აღკვეთა შეადგენს 38,4%-ს (888);

-პირობითი მსჯავრი 47,9%-ს (1108);

- ჯარიმა 12,1%-ს (280);

- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 1,2%-ს (27).

დანაშაულის თითოეული ეპიზოდისათვის დანიშნული სასჯელების სტრუქტურა



10.2 დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების რაოდენობა რეგიონების მიხედვით

2013 წლის ოქტომბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებში დანაშაულის თითოეული ეპიზოდისთვის შეფარდებული სასჯელებიდან 1176, ანუ 50,8% მოდის თბილისის საქალაქო სასამართლოზე, აჭარის სასამართლოებზე - 182, ანუ 7,9%, იმერეთის სასამართლოებზე - 259, ანუ 11,2%, სამეგრელოს სასამართლოებზე - 112, ანუ 4,8%, კახეთის სასამართლოებზე - 164, ანუ 7,1 და სხვა (იხ. დანართი ცხრილი # 21).

ჩადენილი დანაშაულისა და დანიშნული სასჯელების განაწილება რეგიონების მიხედვით



ჩადენილი დანაშაულებისათვის დანიშნული სასჯელების ფორმების

სტრუქტურა რეგიონალურ ჭრილში (პროცენტობით)



თითოეული დანაშაულისათვის შეფარდებულ სასჯელის ღონისძიებებში თავისუფლების აღკვეთის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: თბილისზე - 45,6%, ქვემო ქართლზე 41,8%, იმერეთზე - 35,5%, შიდა ქართლზე - 34,0%, მცხეთა-თიანეთზე - 30,5% და ა.შ.

პირობითი მსჯავრის მაღალი ხვედრითი წილი მოდის: რაჭა-ლეჩხუმზე - 100,0%, გურიაზე - 71,4%, შიდა ქართლზე - 60,6%, სამეგრელო-ზემო სვანეთზე - 59,8%, სამცხე-ჯავახეთზე- 59,3%, კახეთზე - 52,4%, ქვემო ქართლზე - 51,8% და ა.შ.

ჯარიმის მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: აჭარა- 42,3%, გურია - 28,6%, მცხეთა-მთიანეთი - 20,3%, სამცხე-ჯავახეთი - 18,6%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 16,1% და სხვა.

თავი IV. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა

ნაწილი 11 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

11.1 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობასთან სქესობრივ ჭრილში

2013 წლის ოქტომბრის მდგომარეობით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფ-ლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული იყო სულ 8 931 პირი. მათგან 8 674 კაცი და 257 ქალია.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (შემდგომში - „სამინისტროს“) ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო სამმართველოში ყოველთვიურად ხდება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის პროცენტული შედარება საქართველოს მოსახლეობის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2013 წლის 1 იანვრის მონაცემებით დაფიქსირებულ რაოდენობასთან. ქვეყნის მოსახლეობის აღნიშნულ რაოდენობასთან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმდინარე წლის ოქტომბრის მონაცემების შედარების შედეგად ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რიცხვმა (8 931) ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობის (4 483 800) 0.2% შეადგინა. მამრობითი სქესის ბრალდებულების/მსჯავრდებულების რაოდენობა (8 674) ქვეყნის მამრობითი სქესის მოსახლეობის (2 138 800) 0.41%-ს, ხოლო მდედრობითი სქესის ბრალდებულების/მსჯავრდებულების რაოდენობა (257) ქვეყნის მდედრობითი სქესის მოსახლეობის (2 345 000) 0.01%-ს შეადგენს (იხ. დანართი, ცხრილი №22).

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში

2013 წლის ოქტომბრის თვეში, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სრულწლოვან კაცებზე მოდის (8 593). ქვემოთ მოცემულია ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდე-ნობის ამსახველი დიაგრამები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში, სადაც უფრო დეტალურად არის ნაჩვენები სქესობრივი და ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული წილის ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №23, №24):

ბრალდებულები და მსჯავრდებულები
ასაკობრივ ჭრილში



როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე ახალგაზრდა და ხანდაზმული ბრალდებულები და მსჯავრდებულები საერთო რაოდენობის ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებლებით ხასიათდებიან.

ბრალდებულები და მსჯავრდებულები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



11.2 ბრალდებულები[5]

2013 წლის ოქტომბრის თვეში 6 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სულ 1 400 ბრალდებული ირიცხებოდა. საერთო შეფარდებით პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა 15.7%-ს ბრალდებულები შეადგენენ. დაწესებულებებს შორის მათი ხვედრითი წილი შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №25):

[5] წინამდებარე ანგარიშში ტერმინი „ბრალდებულები“ აღნიშნავს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ არამსჯავრდებულ პირებს.

ბრალდებულები



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, ყველაზე მეტი ბრალდებული 2013 წლის ოქტომბრის თვეში №8 დაწესებულებაში ირიცხებოდა.

11.3 არასრულწლოვანი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

2013 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულების/მსჯავრდებულების რიცხვი (81) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.9%-ს უტოლდება. მათგან 22 ბრალდებულია. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.6%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულების/ მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 27.2%-ს შეადგენს. მათგან ყველა (22) მამრობითი სქესისაა. ქვემოთ მოცემულია დაწესებულებებში მათი განაწილების ამსახველი სურათი (იხ. დანართი, ცხრილი №26):

არასრულწლოვანი ბრალდებულები



59 არასრულწლოვანი მსჯავრდებულიდან ყველა მამრობითი სქესისაა. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რიცხვი მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.8%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 72.8%-ს შეადგენს. მათი საერთო რაოდენობის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განაწილების მაჩვენებელი შემდეგია (იხ. დანართი, ცხრილი №26):

არასრულწლოვანი მსჯავრდებულები



11.4 მსჯავრდებულთა რაოდენობა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით

2013 წლის ოქტომბრის თვეში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულები, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 84.3%-ს შეადგენს. მათგან უმეტესობას განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირები წარმოადგენენ. ასევე, დიდი ხვედრითი წილი აქვს მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულების რაოდენობასაც (იხ. დანართი, ცხრილი №27).

მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით



11.5 მსჯავრდებულთა რაოდენობა დაწესებულების ტიპის მიხედვით

2013 წლის ოქტომბერში, მსჯავრდებულთა რიცხვი, რომელთაც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ტიპები[6] განესაზღვრათ 7 141-ს, ხოლო დაწესებულების განსაზღვრის მოლოდინში მყოფ მსჯავრდებულთა რაოდენობა 390-ს შეადგენდა. მათი რაოდენობა შეფარდებული დაწესებულების ტიპის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №28):

[6] თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ერთიანდება შემდეგი ტიპის დაწესებულებები: ნახევრად ღია, დახურული და არასრულწლოვანთა სპეციალური.



11.6 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით

„საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2010 წლის 27 დეკემბრის №184 ბრძანებით დადგენილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობრივი ლიმიტი თითოეული დაწესებულებისთვის. დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რეალური რაოდენობის შედარება ლიმიტირებულ რაოდენობასთან ხდება თითოეულ დაწესებულებასთან მიმართებაში.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემას დაქვემდებარებულ 15 დაწესებულებაში არსებული საპატიმრო ადგილების საერთო ლიმიტირებული რაოდენობა 23 342-ს შეადგენს. 2013 წლის ოქტომბრის მონაცემებით ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (8 931) ამ ზღვარზე 14 411 ერთეულით (61.7%-ით) ნაკლებია. ამ მხრივ სხვადასხვა დაწესებულებაში განსხვავებული მდგომარეობაა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში დადგენილ ლიმიტებთან შედარებით დაწესებულებებში მეტობის მაჩვენებელი არცერთ დაწესებულებაში არ ფიგურირებს. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე აღნიშნულია დაწესებულებების ჩამონათვალი ლიმიტებით, სადაც კლების ნიშნით წამძღვარებ - ული პროცენტული მაჩვენებლის ქვემოთ ფრჩხილებში მოცემულია პროცენტული რაოდენობის შესაბამისი ციფრი. ამდენად, თითოეულ დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ამჟამინდელი რაოდენობის დადგენილ ლიმიტზე ნაკლებობა გრაფიკზე გამოსახულია როგორც რაოდენობრივი, ასევე პროცენტული მაჩვენებლის ფორმით (იხ. დანართი, ცხრილი №29):

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ნაკლებობის მაჩვენებლებით



როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს, 2013 წლის ოქტომბერში არცერთ დაწესებულებაში არ ყოფილა განთავსებული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა დადგენილ ლიმიტებთან შედარებით ჭარბი რაოდენობა, ხოლო დადგენილთან შედარებით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა პროცენტულად №17 დაწესებულებაში დაფიქსირდა.

11.7 უცხოელი ბრალდებულები და მსჯავრდებულები

უცხოელი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობის დათვლა დაწესებულებების მიხედვით მიმდინარეობს.

საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მოთავსებული 24 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთო რიცხვი მიმდინარე წლის ოქტომბრის დასასრულს 173 (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 1.9%) იყო. მათ შორის: №2 დაწესებულებაში

იმყოფებოდა 1 (ისრაელი-საქართველო), №5 დაწესებულებაში იმყოფებოდა 1 (რუსეთი-საქართველო), №6 დაწესებულებაში - 1 (ბელგია-საქართველო), №8 დაწესებულებაში - 3 (რუსეთი-საქართველო; ირანი-საქართველო; რუსეთი-პალესტინა), №12 დაწესებულებაში - 1 (რუსეთი-საქართველო), №17 დაწესებულებაში - 1 (ისრაელი-საქართველო), №19 დაწესებულებაში - 1 (სომხეთი-საქართველო) ორმაგი მოქალაქეობის მქონე ბრალდებული/მსჯავრდებული. ასევე, №14 დაწესებულებაში იმყოფება - 1 მოქალაქეობის არმქონე ბრალდებული/მსჯავრდებული. ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია უცხოელ მოქალაქეთა საერთო რაოდენობის პროცენტული შემადგენლობა (იხ. დანართი, ცხრილი №30):

უცხოელი
ბრალდებულები და მსჯავრდებულები



როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს უცხოელთაგან უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანელებზე, თურქებსა და რუსებზე მოდის. შედარებით ნაკლები მაჩვენებლებით ხასიათდებიან ერაყი, ისრაელი და დანარჩენი ქვეყნები, რომლებიც დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“.

11.8 პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გასულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2013 წლის ოქტომბერში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა რაოდენობამ წინა თვესთან შედარებით 963 ერთეულით დაიკლო. ქვემოთ ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის სასჯელაღსრულების სისტემიდან სხვადასხვა საფუძვლით გასულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა (იხ. დანართი, ცხრილი №31):

სასჯელაღსრულების სისტემიდან გასული ბრალდებულები და მსჯავრდებულები



როგორც ვხედავთ, სასჯელაღსრულების სისტემიდან გასულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უდიდესი წილი შეწყალებით, კალენდარულად და პირობით ვადამდე (სსკ 72-ე (219) და 98-ე (5) მუხლები) გათავისუფლებულ მსჯავრდებულებზე მოდის. შედარებით დაბალი მაჩვენებლებით არის წარმოდგენილი განაჩენის აღსრულების გადავადება, გარდაცვალება, ავადმყოფობით/ხანდაზმულობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლა. ხოლო, სხვა სახით გათავისუფლე - ბულთა (გირაო, საქმის შეწყვეტა, ექსტრადიცია და სხვა) საერთო რაოდენობა (312) მთლიანი რაოდენობის 32.4%-ს შეადგენს.

ქვემოთ ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის სასჯელაღსრულების სისტემიდან ამნისტიით გათავისუფ- ლებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ამსახველი დიაგრამა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მიხედვით:

საპატიმრო სასჯელისაგან ამნისტიით გათავისუფლებული ბრალდებულები და მსჯავრდებულები



საანგარიშო პერიოდში, საპატიმრო სასჯელისაგან ამნისტიით გათავისუფლებულ პირთაგან 3 მდედრობითი და 3 მამრობითი სქესის სრულწლოვანი იყო, რომელთა გათავისუფლებაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით განხორციელდა.

ქვემოთ ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდისთვის სასჯელაღსრულების სისტემიდან შეწყალებით გათავისუფლებულ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ამსახველი დიაგრამა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მიხედვით:



11.9 რესოციალიზაცია[7]

რესოციალიზაციის მიმდინარეობის მაჩვენებელი თითოეული დაწესებულებისთვის ღონისძიებათა ტიპების მიხედვით ითვლება. ამ მიზნით ხდება თითოეულ პროგრამაში ჩართული ბრალდებულების/მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის აღრიცხვა და მათი დაყოფა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში.

2013 წლის ოქტომბერში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში რესოციალიზაციის პროგრამები სულ 1 107 პირისთვის მოქმედებდა. ყველაზე დიდი ადგილი აღნიშნულ პროგრამებში ქვემოთ მოცემული მაჩვენებლების მიხედვით კულტურულ ღონისძიებებს ეკავა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში 502 პირისთვის განხორციელდა/მიმდინარეობდა.

დიაგრამაზე ნაჩვენებია თითოეულ რესოციალიზაციის პროგრამაში ჩართული ბრალდებულების/მსჯავრდებულების რაოდენობის პროცენტული შედარება (იხ. დანართი, ცხრილი №32):

[7] რესოციალიზაციის მონაცემები მოიცავს როგორც მიმდინარე (466), ასევე საანგარიშო თვეში დასრულებულ პროგრამებს (641).

რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული ბრალდებული/მსჯავრდებული



2013 წლის ოქტომბრის თვეში არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელდა (მიმდინარე/დასრულებული) რესოციალიზაციის 397 ღონისძიება. მათ შორის: №2 დაწესებულებაში - 13, №8 დაწესებულებაში - 12, №11 დაწესებულებაში - 372 ღონისძიება. რაც შეეხება უშუალოდ ღონისძიებებს, განხორციელდა: 75 - პროფესიული განათლების, 13 - არტ-თერაპიის, 41 - ზოგადი განათლების, 56 - სახელობო განათლების, 88 - სპორტული და 124 - კულტურული ღონისძიების მიმართულებით (იხ. დანართი, ცხრილი №32).

ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირების რაოდენობა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (იხ. დანართი, ცხრილი №32):

რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართული პირები
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



საანგარიშო პერიოდში, ერთიდაიგივე 81 არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული რესოციალი-ზაციის 397 სხვადასხვა პროგრამაში იღებდა მონაწილეობას.

ხოლო, რაც შეეხება გარესამყაროსთან ურთიერთობას, საანგარიშო თვის განმავლობაში ბრალდებულებმა/ მსჯავრდებულებმა პაემნის უფლებით სულ 4 541-ჯერ ისარგებლეს. საანგარიშო პერიოდში, განხორციე - ლებული პაემნები სახეობების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №32):

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ
განხორციელებული პაემნები



11.10 დისციპლინური ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში, დისციპლინური ღონისძიება პატიმრობის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში 84-ჯერ იქნა გამოყენებული. საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული დისციპლინური ღონისძიებები სახეობების მიხედვით გამოსახულია ქვემოთ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №32):

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმართ
განხორციელებული დისციპლინური ღონისძიებები



ასევე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა მსჯავრდებულთა წახალისება 147-ჯერ (იხ. დანართი, ცხრილი №32).

11.11 სასჯელაღსრულების სისტემაში და სისტემის გარეთ გადაყვანილ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა

2013 წლის ოქტომბერში, სასჯელაღსრულების სისტემაში სულ 617 პირის გადაადგილება დაფიქსირდა. მათგან, საერთო პროფილის საავადმყოფოებში - 270, ხოლო სხვა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გადაყვანილ პირთა რაოდენობამ სულ 347 შეადგინა (იხ. დანართი, ცხრილი №33).

გადაყვანილი ბრალდებულები და მსჯავრდებულები



11.12 კრიმინოგენული მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

დანაშაულებრივი ფაქტების ჩადენის მაჩვენებელი სასჯელაღსრულების სისტემაში გამოითვლება თითოეული დაწესებულებისთვის სსკ მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების მიხედვით, რაც დაწესებულებებში კრიმინოგენული ვითარების ცალ-ცალკე ჩვენების გარდა საერთო ვითარების ასახვის საშუალებასაც იძლევა. გარდა ამისა, კრიმინოგენული სიტუაციის აღმრიცხავი მონაცემთა ცხრილები დანაშაულებრივი ფაქტებისა და მათ ჩამდენ პირთა ასაკის ურთიერთმიმართებასაც აჩვენებს.

სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2013 წლის ოქტომბერში, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში მომხდარი გამოსაძიებელი ფაქტების რაოდენობამ სისხლის სამართლის კოდექსის 10 მუხლით გათვალისწინებული 67 ერთეული ქმედება შეადგინა. მათგან, ყველაზე მეტი ხვედრითი წილი სსკ 378[2] მუხლით ჩადენილ ქმედებებზე (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, დროებითი ყოფნის იზოლატორსა და ჰაუპტვახტში მოთავსებული პირისათვის დაწესებულებაში აკრძალული საგნის შენახვა, ტარება, სარგებლობა) მოდის. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში ეს მაჩვენებელი 31 ერთეულს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში გამოძიების დაწყების საფუძვლად ქცეული დანაშაულებრივი ფაქტების რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №34):

დანაშაულებრივი ფაქტები, რომლებზეც დაიწყო გამოძიება



2013 წლის ოქტომბრის თვეში ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტები,

დაწესებულებებსა და დაწესებულებების გარეთ პირთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2013 წლის ოქტომბერში გამოძიება 9 სხვადასხვა დაწესებულებაში მომხდარ ფაქტზე დაიწყო. შემდეგი გრაფიკი თითოეულ დაწესებულებაში ჩადენილი ფაქტების პროცენტულ მაჩვენებელს ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №34):



საანგარიშო პერიოდში გამოძიება ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტზე სულ 58 პირის მიმართ[8] წარიმართა. გამოძიების ობიექტი ქმედების ჩამდენ პირთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას 25-35 წლამდე ასაკის პირები შეადგენდნენ. ქვემოთ ნაჩვენებ დიაგრამაზე ასახულია 2013 წლის ოქტომბერში ჩადენილი ქმედებებისა და ჩამდენ პირთა ასაკობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება (იხ. დანართი, ცხრილი №35):

[8] სსკ 378[1] (3 საქმე) და სსკ 378[2] (6 საქმე) მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე გამოძიება დაწყებულია ფაქტებზე პირების გარეშე.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც დაწყებულია გამოძიება



11.13 სამედიცინო მდგომარეობა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში

ა) დაავადებები

სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მონაცემებით 2013 წლის ოქტომბერში ექიმ-სპეციალისტთა კონსულტაციების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა სახეობის დაავადებათა საერთო რაოდენობა 2 768-ს გაუტოლდა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია დაავადებულთა ხვედრითი წილი კონკრეტული დაავადების მიხედვით. სამედიცინო მდგომარეობის ამსახველი მონაცემთა ცხრილები ასევე იძლევა დაავადებების სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში გავრცელების რაოდენობრივი მასშტაბის დადგენის საშუალებას.

სასჯელაღსრულებით სისტემაში გავრცელებული დაავადებებიდან ყველაზე დიდი წილი სტომატოლოგიურ დაავადებებზე (1 275) მოდის, ასევე გავრცელებულია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (330) და თვითდაზიანება და ტრამვები (224). მცირე მაჩვენებლებით ხასიათდებიან ენდოკრინული სისტემის (5), ონკოლოგიური (2) და ინფექციური (1) დაავადებები, ასევე აივ-ინფექცია შიდსი-ახლადგამოვლენილი (1), რომლებიც ქვემოთ დიაგრამაზე გაერთიანებულია კატეგორიაში „სხვა“ (იხ. დანართი, ცხრილი №36):



საანგარიშო პერიოდში დაავადებული პირების კატეგორიაში ყველაზე მეტი მაჩვენებლით სრულწლოვანი კაცები ხასიათდებიან. დაავადებები სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქვემოთ დიაგრამაზეა წარმოდგენილი (იხ. დანართი, ცხრილი №37):

დაავადებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები



შემდეგი დიაგრამა განსაზღვრავს ქალებისა და კაცების ასაკობრივი კატეგორიების ხვედრით წილს დაავადებულთა საერთო რაოდენობაში (იხ. დანართი, ცხრილი №37):

დაავადებულ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიები



მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ ოქტომბრის თვეში დაავადებათა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კაცებში 25-35 და ქალებში 45 წლის ზემოთ ასაკობრივ კატეგორიებში ვლინდება.

არასრულწლოვნებში დაავადებების რაოდენობა დაავადებათა მთლიანი რაოდენობის 3.7%-ს შეადგენს. მომდევნო დიაგრამაზე აღნიშნულია დაავადებათა მაჩვენებელი არასრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში დაავადების კატეგორიის მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №37):



როგორც ვხედავთ 2013 წლის ოქტომბერში არასრულწლოვან ბრალდებულებში/მსჯავრდებულებში ყველაზე დიდი მაჩვენებლით ხასიათდება სტომატოლოგიური დაავადებები. ასევე, გავრცელებულია თვითდაზიანება და ტრავმები.

შემდეგი ორი დიაგრამა აჩვენებს დაავადებათა კატეგორიების გავრცელების მასშტაბს ცალ-ცალკე მამრობითი და მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის (იხ. დანართი, ცხრილი №37):

დაავადებები სრულწლოვან კაცებში





სტომატოლოგიური დაავადებების შემდეგ, მდედრობითი სქესის სრულწლოვან ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებში გრძნობათა ორგანოების დაავადებები ჭარბობს. ხოლო ზრდასრულ მამაკაცებში სტომა-მატოლოგიური დაავადების შემდეგ ყველაზე მაღალია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა მაჩვენებელი.

ბ) მკურნალობა

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მკურნალობასთან დაკავშირებული მონაცე-მები ამ ეტაპზე წლიურ ფორმაში ყოველთვიურად გაწეული სამედიცინო დახმარების ტიპის მიხედვით ითვლება.

ამბულატორიული ვიზიტებისა და მკურნალობის გარდა, რომლითაც მიმდინარე წლის ოქტომბერში ბრალდებულებმა და მსჯავრდებულებმა 12 677-ჯერ ისარგებლეს, სასჯელაღსრულების სისტემაში 1 136-ჯერ იქნა გაწეული პირველადი სამედიცინო შემოწმება, 38-ჯერ სტაციონალური მკურნალობა, ხოლო 144-ჯერ სასწრაფო და გეგმიური ქირურგიული დახმარება.

ქვემოთ ნაჩვენები დიაგრამა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის 2013 წლის ოქტომბერში გაწეულ სამედიცინო დახმარებას მისი ტიპების მიხედვით წარმოგვიდგენს (იხ. დანართი, ცხრილი №38):



ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია სტაციონარული მკურნალობის მიმდინარეობის მაჩვენებელი სად-ის სისტემისა და სამოქალაქო სექტორის სპეციალიზირებულ სტაციონარებში, რომელთა საერთო რაოდენობა 387-ს შეადგენს. სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ პირთა უმეტესი ნაწილი (349) სამოქალაქო სექტორის სპეციალიზირებულ დაწესებულებებშია განთავსებული (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობა



შემდეგი დიაგრამა სტომატოლოგიური მკურნალობის მიმდინარეობისას გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარების მიმდინარეობის მაჩვენებელს ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სტომატოლოგიური მკურნალობა



რაც შეეხება სამედიცინო გამოკვლევებს, ოქტომბერში ჩატარდა 4 ტიპის გამოკვლევა: ტუბერკულოზზე, „აივ“ ინფექცია/შიდსზე, ჰეპატიტებსა და ვენერიულ დაავადებებზე. მათგან ყველაზე დიდი მაჩვენებელი - 4 950 ტუბერკულოზის რისკ-ჯგუფების გამოსავლენად წარმოებულ მასიურ სკრინინგზე მოდის (იხ. დანართი, ცხრილი №38).

ჩატარებული გამოკვლევები



2013 წლის ოქტომბრის თვეში დაფიქსირდა სამკურნალო სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული 101 მსჯავრდებული. მათგან უმრავლესობა - 39 პირი „აივ“ ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსულ პროგრამა-შია ჩართული, 37 - „მეტადონით“ დეტოქსიკაციის, 25 - ტუბერკულოზის სამკურნალო „DOTS“ და „DOTS“+ პროგრამებში. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ამ მდგომარეობას ნათლად ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №38):

სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულთა რაოდენობა



ამავე თვეში ანტიტუბერკულოზური მკურნალობის კურსი დაასრულა 12-მა ბრალდებულმა/მსჯავრდე - ბულმა.

გ) გარდაცვალება

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გარდაცვალების ფაქტები გარდაცვალების ადგილის მიხედვით აღირიცხება და შესაბამისად, დგება ყოველთვიური ფორმა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის ოქტომბრის თვეში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის №2 დაწესებულებაში - 1 არასრულწლოვანი და №8 დაწესებულებებში - 1 სრულწლოვანი მამარობითი სქესის ბრალდებული/მსჯავრდებული გარდაიცვალა (იხ. დანართი, ცხრილი №39).

გარდაცვლილ
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა



ნაწილი 12 - საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - პრობაციის ეროვნული სააგენტო

12.1 პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა[9]

პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები რეგიონულად როგორც სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ითვლება. 2013 წლის ოქტომბრის მონაცემებით საქართველოში სულ 15 999 პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა. მათი საერთო რაოდენობით რეგიონებს შორის მაღალი მაჩვენებლით თბილისი გამოირჩევა, რომელსაც ასევე მაღალი მაჩვენებლით იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონი მოსდევს. პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა კი რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთის რეგიონშია დაფიქსირებული (იხ. დანართი, ცხრილი №40).

[9] პრობაციის სტატისტიკის ნაწილში არაპატიმარი მსჯავრდებულები და პრობაციის ღონისძიებას დაქვემდებარებული პირები აღინიშნებიან საერთო ტერმინით - „პირობით მსჯავრდებულები“.



შეფარდებული ღონისძიების მიხედვით ქვეყანაში პირობით მსჯავრდებულთა ყველაზე მეტი რაოდენობა პირობით მსჯავრზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე მაჩვენებლებით ხასიათდება რაოდენობა იმ პირებისა, რომლებსაც შეფარდებული აქვთ სასჯელის მოხდის გადავადება (იხ. დანართი, ცხრილი №40).



როგორც დიაგრამიდან ჩანს პრობაციის ღონისძიება შეფარდებულ პირთა (პირობით მსჯავრდებულები და თავისუფლების აღკვეთის შემდგომ საპრობაციო ვადადანიშნული პირები) რაოდენობა შეადგენს ზოგადად არაპატიმარ მსჯავრდებულთა და პირობით მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის ძირითად მასას.

მთელი ქვეყნის მასშტაბით პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჯგუფებში უმეტესობა სრულწლოვანი კაცებით არის წარმოდგენილი, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე (იხ. დანართი, ცხრილი №41):



საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობას დანაშაულის კატეგორი-ისა და სახეობის მიხედვით შემდეგი დიაგრამები ასახავს (იხ. დანართი, ცხრილი №42):

პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით



პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის სახეობის მიხედვით



2013 წლის ოქტომბრის მონაცემებით არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები (266) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 1.7 %-ს შეადგენენ. არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულე - ბის 3.4% (9) ქალია. მათი საერთო რაოდენობის კლასიფიცირება დანაშაულის კატეგორიისა და სახეობის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს (იხ. დანართი, ცხრილი №43):

არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის კატეგორიის მიხედვით



არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები
დანაშაულის სახეობის მიხედვით



არასაპატიმრო სასჯელის შეფარდება ხდება როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელის სახით. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების რაოდენობა (1 474) პირობით მსჯავრდებულთა საერთო რიცხვის 9.2%-ს შეადგენს. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული პირების 5.2% (77) ქალია. მიმდინარე წლის ოქტომბერში ამ სახის პირობით მსჯავრდებულებს თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლებაჩამო-რთმეული და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომადანიშნული პირები წარმოადგენდნენ. საანგარიშო პერიოდში, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 1 286 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 87.2%), ხოლო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნა (ძირითადი/დამატებითი სასჯელი) სულ 188 (არასაპატიმრო სასჯელის საერთო რაოდენობის 12.8%) პირს ჰქონდა შეფარდებული (იხ. დანართი, ცხრილი №44):





პრობაციის ღონისძიებაშეფარდებულ პირთა რაოდენობა სულ 15 885-ს აღწევს. მათი ხვედრითი წილი შეფარდებული პრობაციის ღონისძიების მიხედვით ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №40):

პრობაციის ღონისძიების შეფარდების მაჩვენებელი



2013 წლის ოქტომბერში საქართველოში 12 სხვადასხვა მოქალაქეობის 86 უცხოელი პირობით მსჯავრდებული დაფიქსირდა, რაც პირობით მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის 0.5%-ია. მოქალაქეობის მიხედ - ვით მათი განაწილების მაჩვენებელი ქვემოთ დიაგრამაზეა მოცემული (იხ.დანართი, ცხრილი №45):

უცხოელი პირობით მსჯავრდებულები
მოქალაქეობის მიხედვით



12.2 პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობის მატება

2013 წლის ოქტომბრის თვეში სასამართლო გადაწყვეტილება არასაპატიმრო სასჯელისა და პრობაციის ღონისძიების შეფარდების შესახებ სულ 1 514 პირის მიმართ იქნა გამოტანილი. შემდეგ დიაგრამაზე ასახულია ზემოთ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა როგორც რეგიონულად, ასევე შეფარდებული ღონისძიების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №46):

პირობით მსჯავრდებულთა მატება რეგიონულ ჭრილში



პირობით მსჯავრდებულთა მატება
შეფარდებული ღონისძიების მიხედვით



ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია 2013 წლის ოქტომბრის თვისთვის პირობით მსჯავრდებულთა მატების მაჩვენებელი სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში (იხ. დანართი, ცხრილი №47):

პირობით მსჯავრდებულთა მატება
სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფები



12.3 დასრულებული საქმეები

2013 წლის ოქტომბერში დასრულებული საქმეები (596) დასრულების საფუძვლისა და რეგიონების მიხედვით ასე ნაწილდება (იხ. დანართი, ცხრილი №48):



დასრულებული საქმეები რეგიონულ ჭრილში



როგორც დიაგრამიდან ჩანს დასრულებული საქმეების რაოდენობის მხრივ თბილისის რეგიონის შემდეგ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა იმერეთისა და სამეგრელო-ზ/სვანეთის რეგიონი, ხოლო რაოდენობრივ-ად ბოლო ადგილზე რაჭა-ლეჩხუმი და ქ/სვანეთის რეგიონია 2 დასრულებული საქმით (იხ. დანართი, ცხრილი №48).

დასრულებული საქმეების რაოდენობა პირობით მსჯავრდებულთა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში ამგვარია (იხ. დანართი, ცხრილი №49):

დასრულებული საქმეები სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



12.4 საქმეების საშუალო რაოდენობა[10] ერთ ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში

2013 წლის ოქტომბრის მონაცემების მიხედვით ქვეყანაში 15 999 პრობაციონერის საქმე 172 პრობაციის ოფიცერზე ნაწილდება. საქმეების საშუალო რაოდენობით ერთ ოფიცერზე რეგიონებში კახეთი ლიდერობს, ხოლო ყველაზე მცირე საშუალო მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით საქმეების საშუალო რაოდენობა ერთ ოფიცერზე მიმდინარე წლის ოქტომბერში 93 იყო. ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე საქმეების საშუალო რაოდენობის რეგიონული მაჩვენებელია ასახული (იხ. დანართი, ცხრილი №50):

[10] საქმეების საშუალო რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე რეგიონულ ჭრილში გამოითვლება საანგარიშო პერიოდისთვის მოცემულ რეგიონში დაფიქსირებული პრობაციონერთა რაოდენობის გაყოფით ამავე რეგიონში მოქმედ პრობაციის ოფიცრების რაოდენობაზე. მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთ ოფიცერზე საქმეების საშუალო რაოდენობის გამოთვლისას პრობაციონერთა საერთო რაოდენობა იყოფა საქართველოში მოქმედ ყველა პრობაციის ოფიცრის რაოდენობის აღმნიშვნელ რიცხვზე. პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ასახულია დანართის №40 ცხრილში სახელწოდებით „პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა შეფარდებული ღონისძიების მიხედვით რეგიონულ ჭრილში“.



12.5 პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია

2013 წლის ოქტომბრის თვეში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით თბილისის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და სამეგრელო-ზ/სვანეთის რეგიონებში განხორციელბული რესოციალიზაციის ღონისძიებები საგანმანათლებლო პროგრამების, საზოგადოებრივ-კულტურული საქმიანობის, სპორტული ღონისძიებებისა და დასაქმების კუთხით სულ 95 პირობით მსჯავრდებულისთვის მოქმედებდა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე ასახულია პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის 2013 წლის ოქტომბრის თვის სტატისტიკა პროგრამების, სქესობრივ-ასაკობრივი ჭრილისა და რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი №51, №52, №53):

პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
პროგრამების მიხედვით



პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია
სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში



პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია რეგიონებში



პირობით მსჯავრდებულთა დასაქმება რეგიონებში



12.6 პირობით მსჯავრდებულთა ამნისტია

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შედეგად, 2013 წლის ოქტომბრის თვეში ამნისტირებულ იქნა პრობაციის ეროვნული სააგენტოს - კახეთის ბიუროს აღრიცხვაზე მყოფი 13 მამრობითი სქესის სრულწლოვანი პირობით მსჯავრდებული (იხ. დანართი, ცხრილი №54).